შაბათი, 31 მარტი 1907 წ.

წელიწადი პირველი — № 71

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და სადამოს 5-დან 7-მდე.

რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს [illegible] რედაქცია არ ინახავს. [illegible] დიდი წერილები [illegible] ხუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. რედაქტორს მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“.

28 მარტს ტფილისში გარდაიცვალა

თავადი ლუარსაბ ალექსანდრეს ძე მაღალაშვილი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე გარდაცვლილისა მარიამ დიმიტრის ასული მაღალაშვილისა შვილებით. პანაშვიდი ყოველ დღე, სადამოს 7 საათზე. გამოსვენება (ნოვო ბებუთოვის ქუჩა, № 91) კვირას, 1 აპრილს დილის 10 საათზე ქვაშვეთის ეკკლესიაში. დაკრძალვა იმავ დღეს სოფელ თელოვანში. (3—18—2)

გარდაცვალებულის ცნობილ პუბლიცისტის

დავით ივანეს ძის კეზელის

სულის მოსახსენებლად კვირას, 1 აპრილს, ნაშუადღევის 2 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი, რასაც მოყვარე მისი თავ კონსტანტინე იორამის ძე ხერხეულიძე აუწყებს ნათესავთა, ნაცნობთ, პრესის მოღვაწეთა და მიცვალებულის პატივის-მცემელთ. (2—1)

24 მარტს უეცრად გარდაიცვალა ქ. ტფილისში

ალექსანდრე |სანდრო| შევარდენის ძე გვარჯალაძე

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის მამა შევარდენ, ძმა მათე და დანი მინადორა და მარიამ გვარჯალაძენი. ცხედარს გაასვენებენ მიხეილის საავადმყოფოდან შაბათს, 31 მარტს, სადამოს 6 საათზე, ტფილისის რკინის გზის სადგურზედ, იქიდან დ. ლანჩხუთში. დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, სამ აპრილს, დილის 10 საათზე შუხუთის მღვთის მშობლის ეკლესიის გალავანში. (2—1)

კვირას, 1 აპრილს, ქუთაისის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

მამუკა კონსტანტინეს ძის თურქიას

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ ქვრივი მისი ანასტასია ქაიხოსროს ასული შვილებით და სიძეებით. (1—კვ.—1)

ნამდვილი კახური ღვინო




ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენი. (100—45)

ხერხის ქარხანა

გ. ი. სერებრიაკოვისა

სამტრედიის აგლოს

იყიდება დახერხილი ნაძვის მასალა, დიდ-მალი საქონელი, ყველანაირ ზომისა

ფასები დაკლებულია

(10—586—6)

კბილის ექიმი

ი. ზ. კანდელაკი

იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. იღებს დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპექტი, სახლი აბუულაძისა, № 26. (25—5.—17)

ექიმი

ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., სადამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—19)

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

ტფილისში

მუდმივის საწოლებით

(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).

მიდება გარედან მოსიარულე ავადმყოფებისა

მიხეილ აგაჯანოვი. 11—12 ს. საშარდე, კანისა და სნეულისი.

ი. ნ. ეგიაზაროვი: 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.

გ. ა. ტატევოსოვი: 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.

ი. გ. ავეტისოვი: 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.

მ. პ. გიმონჩი: 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.

ბ. ა. ზეიერი: 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი.

ი. ნ. თუმანოვი: 5—6 ს. სადამოთი. ქალისა და ბებიობისა:

სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—46)

ექიმი

მ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 5—7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—71)

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

ქანჩა და ვენერიული. დილით 9—10 ს., სადამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., სადამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, საკ. სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—79)

ქუთ. სასოფლო-სამეურნეო ამხ.

„კოლხიდა“

აწვდის სოფლის მეურნეთგან შემოწმებულ აბრეშუმის თესლს, ცნობილ ფირმებისას; უცხოეთიდან გამოწერილ ბოსტნისა და ბალახების თესლეულობას. (იონჯა, კოინდარი), ხეხილების და ყვავილების ნერგებს. იქვე მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ სხვა და სხვა სამეურნეო იარაღი—მეაბრეშუმეობისა, ? ფუტკრეობისა, ბაღოსნობისა და სხვა. 15 მარტიდან კვირა-პარასკევობით ამხანაგობა გამართავს საუბარს სხვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საკითხზე. (30—6.—17)

„რენესანსის“ თეატრში

დილის წარმოდგენ.

კვირას, 1 აპრილს 1907 წელს საქველ-მოქმედო მიზნით წარმოდგენილი იქნება ქართულ დრამატიულ დასის არტისტების დ ჩარკვიანის და დ. ივანიძის მონაწილეობით და სცენის მოყვარეთა დახმარებით:

უბრალოთ დასჯილნი

კომ. 4 მოქ. ოსტროვსკისა, თარ. მჭავარიანისა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი სრულ 12 საათზე.

(2—უ.—1) რეჟისორი ჩარკვიანი.

თეატრი „რენესანსი“

(მიხაილოვის ქუჩა)

ორშაბათს, 2 აპრილს, 1907 წ. ქართულ დრამატიულ დასის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება ქართულად:

უპატიოსნონი არ იბადებიან

დრ. 3 მოქ. როვეტტისა თარგ. ნ. გალუსტოვისა.

სალამოს ერთი ცხვირი ხეირია.

ვოდ. 1 მოქ. გ. სუნდუკიანცისა.

დასაწყისი სადამ. 7½ საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. გამგე გ. ანაშვილი.

ქართული თეატრი „რენესანსი“.

სამშაბათს, 3 აპრილს, 1907 წ. ქართულ დრამატიულ დასის მიერ ნინო ჩხეიძის, ვასო აბაშიძის, დ. ივანიძის და მ. ქარმის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

საქველ მოქმედო მიზნით

უბედური ნაბიჯი

დრამა 3 მოქ. კასეევისა თარგ. შ. დადიანისა

დასაწყისი საღ.მოს 8 საათზე.

ადგილების ფასი 2 მ. 50 კ. ვიდრე 30 კ.

ბილეთების შეძენა შეიძლება წიგნის მაღაზიაში. „ობრაზოვანიე“-ში.

(2—უ,—2) რეჟისორი ხვიმონიძე.

კბილის ექიმი

ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა. (32)

რადგან 20 მარტს ვერ შესდგა კანონიერი ჩვეულებრივი კრება ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა, ამისთვის, წესდების მე-35 მუხლის თანახმად, მოხდება მეორე კრება 1907 წლის 5 აპრილს დღისით ხუთშაბათს, ჭიათურის თეატრის დარბაზში, თანახმად წესდებისა, რამდენი წევრიც უნდა შეიკრიბოს, ამ დღეს კრება მაინც კანონიერად იქნება აღიარებული.

განსახილველი საგნები იგივეა, რაც პირველად იყო გამოცხადებული. (3—6.—2)

საარტისტო საზოგადოების

საკონცერტო დარბაზში, კვირას, 1-ლ აპრილს, გაიმართება

სასულიერო კონცერტი,

რომლის შემოსავალი გადაიდება საქართველოს ეპარქიის სასულიერო წოდების ღარიბ, ქვრივ და ობლების სამზრუნველოს საშუალებათა გასაძლიერებლად. კონცერტში მონაწილეობენ გუნდები: ეგზარხოსისა, ნამესტნიკის კონვოისა და სიონის ტაძრისა. კონცერტი დაიწყება სადამოს 8 საათზე.

ბილეთები ისყიდება: სინოდის კანტორაში სამზრუნველოს მდივნის ა. დავიდოვისაგან და ეგზარხის კანცელარიის მმართველის დ. სოკოლოვისაგან, ანჩისხატის ქ. № 1, დილის 9—2 საათამდე. ალექს.-ნეველის ეკკლესიაში (9—2 საათ. და სადამოს 4—6), მღ. ალ. სიმონოვისაგან, ერეკლეს ქ. № 6, დილის 8 სადამოს 8 საათამდე და 31 მარტიდან თეატრის კასსაში.

ფასები ხელმისაწდომია. (უ. 3—2)

ტფილისი, 31 მარტი.

აგრარული კანონ-პროექტი სოციალ-დემოკრატების ფრაქციისა, რომელიც გუშინ გავაცანით მკითხველებს, მარტივია და მოკლე, თუმცა კი ის მიწის საკითხს არა სწყვეტს. ვნახოთ ეხლა რას წარმოადგენს სახალხო თავისუფლების პარტიის კანონ-პროექტი.

ყოვლის უწინარეს ჩვენთვის საინტერესო ისაა, რომ კადეტებს განზრახული აქვთ ეს კანონ-პროექტი განახორციელონ მხოლოდ ევროპიულ რუსეთში. მაგრამ აქაც ყველგან არა; პროექტის ავტორების აზრით ამ კანონ-პროექტის მოქმედების ფარგლიდან უნდა გამოირიცხოს პოლონეთი. ბალტიის მხრის გუბერნიები, ამიერ-კავკასია, ყუბანის და თერგის ოლქების მთა ადგილის მაზრები, ყაზახთა და ყირგიზთა მიწები. ამ ადგილებში მიწის საკითხი განსაკუთრებითის კანონებით უნდა გადაწყდესო.

ეს განსაკუთრებითი კანონები ამიერ-კავკასიის მკვიდრთათვის ახალი ცნება არ არის. განსაკუთრებით კანონების დაპირებას და მათს მოქმედებას ჩვენი ქვეყნისთვის ჯერ სიკეთე არაფერი არ მოუტანია, ვნება კი—ყოველთვის დიდი მოუყენებია. ჩვენ ვიცით, რომ სახალხო თავისუფლების პარტიას ძველებურად და ბიუროკრატიულად არ ესმის განსაკუთრებითი კანონების საჭიროება განაპირა ქვეყნებისთვის, მაგრამ სადაც განსაკუთრებითი კანონებია საჭირო ადგილობრივ პირობების მიხედვით, იქ აუცილებლად საჭიროა აგრეთვე განსაკუთრებითი კანონმდებელი დაწესებულება ადგილობრივ პირობების მცოდნე პირთაგან შემდგარი ე. ი. ადგილობრივი საკანონმდებლო თვითმართველობა. სახალხო თავისუფლების პარტია ამ ჭეშმარიტების პირველ ნახევარს აღიარებს, მეორეს კი არა. ამის ნაყოფი კი ის იქნება, რომ მიწის საკითხი სასიკეთოდაც რომ გადასწყდეს შიდა რუსეთისთვის, ჩვენ—განაპირა ქვეყნის ხალხი ისევ ძველ პირობებში დავრჩებით დიდის ხნობით. მიწის სივიწროვე ისე შემავიწროებელი არსად არაა გლეხობისთვის როგორც საქართველოში, მაგრამ ამისდა მიუხედავად კადეტების გეგმით ჯერ რუსეთში უნდა დააკმაყოფილონ გლეხები და მხოლოდ შემდეგ უნდა იზრუნონ განაპირა ქვეყნების მშრომელ ხალხისთვის.

ასეთ პირობებში სახალხო თავისუფლების პარტიის აგრარულ კანონ-პროექტს ჩვენთვის უფრო თეორიული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პრაქტიკული. ამ მხრივ კანონ-პროექტის დასახასიათებლად აღსანიშნავია შემდეგი ცნობები: მუდმივი სარგებლობა, ნორმალური რაოდენობა მიწით უზრუნველყოფისა, გამოსყიდვა კერძო მესაკუთრეთა მიწებისა წმინდა შემოსავლის კაპიტალიზაციით გამორკვეულის ფასით, სამაზრო სადგილ მამულო კომიტეტები და სოფლები.

**მუდმივი სარგებლობა** ეკონომიური ცნებაა და არა უფლებრივი. ეს ეკონომიური ცნება უფლებრივის მაგიერ კანონ-პროექტში განზრახ არის ნახმარი. უფლებრივი ურთი-ერთობა ისევ ისეთი დარჩება, როგორც აქომამდე იყო: ზოგან კერძო საკუთრება იქნება, ზოგან სათემო მფლობელობა, ზოგან მემკვიდრეობითი სარგებლობა და ზოგან მიწი სარგებლობა სიკვდილამდე. რა უფლებრივ ჩონჩში ჩამოესხმის მიწის მფლობელობა ეს ერთის მხრივ იმაზეა დამოკიდებული, თუ სად როგორი მფლობელობაა ეხლა, კერძო თუ სათემო, და მეორეს მხრივ იმაზე, თუ როგორ გადასწყვეტს ამ საგანს თვით სოფლის საზოგადოება. ამ მხრივ კადეტების პროექტი სრული საკანონმდებლო გამოხატულებაა იმ შეხედულებისა, რომელიც მოითხოვს, რომ იურიდიული ხასიათი მიწათმფლობელობისა თვით ცხოვრებამ გადასწყვიტოს. ეს შეხედულება იქიდან წარმოსდგა, რომ აგრარული საკითხი მეტად რთული საკითხია, იმის საბოლოო გადაწყვეტას სათემო თუ კერძო მფლობელობის პრინციპების მიხედვით ბევრი მეცნიერი ვერა ჰბედავს და განსაზღვრულ გადაწყვეტილების ნაცვლად პრინციპად აღიარებს საკანონმდებლო ინდიფერენტიზმს: კანონი არც ერთს უნდა მოითხოვდეს, არც მეორეს, დეე ცხოვრებამ თითონ გადასწყვიტოსო. ამ ინდიფერენტიზმის გაპრინციპებაში დიდი ადგილი უკავია იმას, რომ რუსეთის ზოგ ადგილას სათემო მფლობელობა უფრო ვარგობს, უფრო მეტს ცხოველმყოფელობას იჩენს, ზოგან კი კერძო საკუთრების პრინციპი უფრო ხეირობს. აგრარულ კანონში ასეთ ძირითად საკითხის გადუწყვეტლად დატოვება არაფრით არ განირჩევა კანონის უქონლობისაგან. ამ მხრივ კადეტების აგრარულ კანონ-პროექტს არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ექნება, ის ცხოვრების ვითარებას ვერც წინ წასწევს და ვერც უკან დააბრუნებს.

**ნორმალური რაოდენობ მიწით უზრუნველ-ყოფისა** — თითოეულ მაზრისთვის ცალკე უნდა განისაზღვროს იმისდა მიხედვით, თუ რაოდენის მიწით სარგებლობენ ის მცხოვრებნი, რომელნიც საკუთარ მეურნეობას ეწევიან, არც თითონ მიდიან სხვასთან ქირაზე სამუშაოდ და არც სხვებს ქირაობენ. ეს ნორმალური რაოდენობა—არც შრომის ნორმაა, არც საკვების ნორმა. ეს ნორმალური რაოდენობა ვერც ხალხის გამოკვებას უზრუნველ-ჰყოფს და ვერც შრომის ნაყოფიერ დახარჯვას იმ მიწაზე, რომლის ნაყოფიც მთლად მშრომელს უნდა ერგოს. იგი მხოლოდ იმ ურთიერთობას აკანონებს, რომელიც ეხლა არსებობს. ამ ნორმით გლეხთა მიწის მფლობელობის გაფართოვება ისეთი მალამოა, რომელიც წყლულს ვერ მოარჩენს, მაგრამ შეიძლება რამდენისამე წუთით ტკივილი დააყუჩოს ავადმყოფს.

მუდმივი სარგებლობა და ნორმალური რაოდენობა მიწისა—ორივე ისეთი შინაარსის ცნებებია, რომელთაც არავითა-

რი თვალსაჩინო ცვლილება არ შეუძლიანთ შეიტანონ მშრომელ ხალხის ცხოვრებაში. არსებითად ყველაფერი ისევ წინანდელს დონეზე დარჩება.

**ნაძალადევი გამოსყიდვა**—ახალი სიტყვაა, რომელიც ცოფსა ჰგვრის მემარჯვენეებს, მაგრამ არსებითად მშრომელ ხალხის სანუგეშოს ისიც არაფერს შეიცავს. კადეტების პროექტით, თითოეულ მაზრაში ცალკე გამორკვეულ უნდა იქნას წმინდა შემოსავლის რაოდენობა; ეს შემოსავალი ნაანგარიშევი უნდა იყოს როგორც კაპიტალის პროცენტი. მემამულესაგან იმ ფასად უნდა გამოისყიდოს მიწა, რომ მიწის ფასად აღებულმა ფულმა დაახლოვებით ისეთივე ყოველწლიური სარგებელი მისცეს, რასაც წინად ყოველს წელს მიწის წმინდა შემოსავალი იძლეოდა. ესაა კაპიტალიზაცია წმინდა შემოსავლიდან. ცხადია, რომ ასეთი ოპერაცია მიწის პატრონებისთვის მაინცა და მაინც ძალიან საზარალო არ იქნება. ამ მიწის ფასის ერთი ნაწილი, კადეტების კანონ-პროექტით, იმათ უნდა გადიხადონ, ვისაც მიწა მიეცემა, დანარჩენი კი ხაზინამ. ხაზინას თავისი საკუთარი თანხები არა აქვს, ხაზინის ფული ისაა, რაც ხალხს ჰხდება როგორც სახელმწიფო გადასახადი. ასე რომ და მაინც ბოლოს მიწას მშრომელი ხალხი თავის ფულით ყიდულობს, ის სიტყვები კი, ვითომც მიწა ეხლანდელ პატრონებს ნაძალადევად ჩამოერთმევოდეთ და უმიწაწყლო ხალხს დაურიგდებოდეს, სულ ტყუილად აბნელებენ საქმის ვითარებას. მოგებით რომ ასეთი ოპერაციისაგან უმიწაწყლო ხალხი ბევრს ვერაფერს მოიგებს—ეს ეჭვს გარეშეა, მაგრამ რამდენს მოიგებენ მიწია ეხლანდელი პატრონები—ეს კი გამოსარკვევია.

ჩვენ განვიხილეთ სამი მთავარი პრინციპი კადეტების აგრარულ კანონ-პროექტისა და ვნახეთ, რომ სამივე პრინციპი ნაკარნახევია იმ გაბატონებულ მემამულეების კლასსიურ ინტერესებისაგან, რომელნიც თავის დრო-მოჭმულ ფეოდალობას უკვე უარჰყოფენ და სახელმწიფოს დახმარებით კაპიტალისტებად გადაქცევას ლამობენ. როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, სახალხო თავისუფლების პარტია სწორედ რუსეთის მცხოვრებთა იმ ნაწილის სულისკვეთების გამომხატავია, რომელსაც დასავლეთ ევროპის ბურჟუაზია მიაჩნია გზის მაჩვენებლად. არ შეგვიძლიან ამასთანავე არ აღვნიშნოთ, რომ კადეტების აგრარულ კანონპროექტში ბურჟუაზიის კლასსიური ინტერესები მოხერხებულად არიან მოკაზმული მშრომელ ხალხის ინტერესების სამოსელში.

სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტებს და სოფლებს კადეტების აგრარულ კანონ-პროექტში დამხმარებელ ორგანოების ადგილი უკავიათ. მათ უნდა მოამზადონ რეფორმა და ხელი შეუწყონ მის განხორციელებას. მათ პრინციპიალური მნიშვნელობა არა აქვთ. ამიტომ ამ დაწვრილებულებებზე ეხლა სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

## ხმა პეტერბურგიდან.

სახელმწიფო სათათბირო
21 მარტი.

ერთი თვე შესრულდა, რაც მეორე სათათბირო მუშაობს, ერთი თვეა მთელი ქვეყანა შესცქერის ხალხის წარმომადგენელთა მუშაობას. ამ ოცდა ათი დღის განმავლობაში მეტად საინტერესო მომენტები იყო სათათბიროს ცხოვრებაში, რომელიც ითხოვდა აღნიშვნასა, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, შესაწყნარებელ მიზეზთა გამო დღემდის მკითხველისთვის არა მითქვამს რა.

სათათბირო ეხლა არჩევს სახელმწიფო ბიუჯეტს. სათათბიროსთვის ეს მეტად თავ სატეხი საგანია. პარტიათა შეთანხმება აქ ყოვლად შეუძლებელია. შეუძლებელია, რადგან მემარჯვენენი, მინისტრთა უხამსო ქცევით, სიტყვათა სითამამით აღფრთოვანებულნი, გუნდრუკს უკმევენ მთავრობას და ყოველ ღონისძიებით იცავენ ბიუჯეტს, რადაც ყოველი ციფირი ჰფარავს ხალხის ოფლს, ხალხის სისხლს.

კადეტები... კადეტები ხომ ძველი ნაცნობები არიან. ამათ აზრით სამინისტროს მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტი მეტად სუსტია, ხალხისთვის მეტად სამძიმო, მაგრამ ეხლა ეს ბიუჯეტი უნდა დავამტკიცოთო. უცებ ძველი წესის შეცვლა ძნელიაო. ესე იგი დაჩაგრებულ ხალხისთვის საწამლავია, მაგრამ საჭიროა მცირეოდენის ცვლილებით ბიუჯეტის დამტკიცებაო. რამდენად მართალია ეს აზრი, ყველასთვის ადვილი გასაგებია. კადეტებს არც არავინ დაემდურება, რადგან იმათ ტაქტიკას ძალიან კარგად ვიცნობთ.

სოციალ-დემოკრატებმა და სოციალ-რევოლიუციონერებმა მოურიდებლად გამოაცხადეს: სჯობს ხალხს, ქვეყანას ავუხსნათ ნამდვილი მდგომარეობა. მათის აზრით, სამინისტროში შედგენილ ხარჯთ-აღრიცხვის კომისიაში გადაცემაც მეტია, სათათბირომ ეხლავე არ უნდა დაამტკიცოს ბიუჯეტი და უკანვე დაუბრუნოს შემდგენელთო.

ვისი აზრი გაიმარჯვებს, წინ და წინვე არ ვიტყვით,*) ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ დღევანდელ დღის სერიოზულ ხასიათს—სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებას ან არ დამტკიცებას თან მოჰყვება შედეგი. რა თქმა უნდა, სტოლიპინის მთავრობა სახელმწიფო სათათბიროს არ მოერიდება. ბიუჯეტი რომ არ დაამტკიცოს სათათბირომ—სტოლიპინი ძალას იხმარს და რაც მთავრობისთვის საჭირო იყო და არის იშოვნის, ძალით, ერთის კალმის მოსმით იქნება დამტკიცებული ბიუჯეტი.

ეს აგრე მოხდება, მაგრამ სახელმწიფო სათათბიროს რა მოელის? კანონის ძალით, სანამ სახელმწიფო სათათბირო მოქმედებს, ბიუჯეტს მთავრობა ვერ დაამტკიცებს თავის ნებით. მაშ საჭიროა სათათბიროს დახურვა ანუ დეპუტატების გარეკა. უკანასკნელ აზრის განსახორციელებლად ხომ ყოველ ღონის ძიებას ხმარობენ ისინი, ვისთვისაც ეს საჭიროა. ეს ცხადად სჩანს.

ამას მოწმობს კოკოვცევის, ვასილჩიკოვის, შჩეგლოვიტოვის და სტოლიპინის აბუჩად აგდები ქცევა. როდესაც პირველი და მეორე ბიუჯეტის შესახებ ლაპარაკობდნენ—ამათ სიტყვებში ნათლად იხატებოდა შემდეგი აზრი: „ეს ყოველივე ფორმალისტიკაა, ბიუჯეტს უთქვენოდაც განვახორციელებთ, კმარა, ნუ ჰბედავთ ლანძღვასაო...“

დეპუტატები კი განაგრძობენ თავიანთ დაუშრეტელ სიტყვებს და მეტად მკაცრად სცოცხავენ იქვე მჯდომ სამინისტროს. მაგრამ ყოველივე ეს არის მხოლოდ ზედაპირი... ლანძღვა, გაკიცხვა, გაკიცხვა და ლანძღვა... იმისი დამტკიცება, თუ რამდენად პატიოსანია დღევანდელი მთავრობა, რა სასარგებლო იყო ქვეყნისთვის იმის მოქმედება—ეს ხალხმა უკვე იცის, ქვეყანამ უწყის. რაც შეეხება ლანძღვას, ლანძღვით რომ ჩვენი მთავრობის გასწორება შესაძლო ყოფილიყო, დღემდისაც გასწორდებოდა, რადგან იგი პირველ სათათბიროში 72 დღის განმავლობაში ლანძღვის მეტს არაფერს არ ისმენდა.

განა კოკოვცევის სიტყვებს: „იძახით ორმოც წლის განმავლობაში—ხალხს უკანასკნელ გროშს ართმევთო, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ეს უკანასკნელი გროში დღემდის არ გამოლეულაო“,—განა ასეთ სიტყვას ახსნა და განმარტება უნდა!?. ეს ისედაც ნათლად ამტკიცებს თავხედობას, უვიცობას, ხალხის არად ჩაგდებას და მსმენელთა აბუჩად აგდებას.

ასეთ სამინისტროს, ასეთ მთავრობას, მთავრობას, რომელიც ლანძღვას შეეჩვია—გაკიცხვა არ უნდა? იმისთვის, იმის წინააღმდეგ სულ სხვა ღონეა საჭირო. ეს ღონე უნდა შექმნას სათათბირომ..

**მალაქია ზოლქვაძე.**

*) როგორც დეპეშებიდან უკვე ვიცით, კადეტების აზრმა გაიმარჯვა. რედ.

## გლეხის მდგომარეობა ზემო-ქართლში.

გაუჭირდა გლეხს ცხოვრება. გლეხი კვნესის და ოხრავს, „ამისთანა სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნიანო, ამბობს გლეხი. სოფლის და პოლიციის მოხელეებისაგან გლეხი დამონებულია. მისი პიროვნება შელახულია, მისი ავლა-დიდება გაძარცული, მისი ზნე-ჩვეულობა შეგინებული. გლეხის თავს თითქოს, რაღაც მაჯლაჯუნა დასწოლია; ეძალება, რომ მოიშოროს თავიდან, მაგრამ ვერა გაუწყვია რა.

გლეხი ყოველ-დილით როდესაც სამუშაოდ მიდის, ოხვრით ამბობს: „რისთვის უნდა ვიმუშაო, სულ ერთია, ბოლოს არ შემანარჩუნებენ ჩემს ნამუშავარსა“. ჰუჭყიან, დაფლეთილ პერანგისა და თხელი, სიფრიფანა შარვლის ამარა, ოცჯერ დაკონკილ მაზარაში გახვეულ გლეხს ყველა უძახის: „გამოიტა, გამოიტა“!..

იმის წვრილ ცოლშვილს ქვეშ-საგებლად დედამიწაზედ ერთად-ერთიღა ჭილოფი უგია და იმასაც აღარ არჩენენ. გლეხი ემუდარება ყველას: „თქვენი მორჩილი ვიქნები, ოღონდ ეს ტანჯვა გვაკმარეთ.“ მაგრამ უფრო უორკეცებენ სატანჯველს; ერთი-ერთმანეთზედ, თითქოს გამოჯავრებით, გადასახადები ატყდება თავზე.

აგერ, მოიშორებს გლეხი ერთს და მეორე გადასახადი უკაკუნებს კარებს: ჩქარა ფულიო! გაჰყიდის თავის სარჩოს, დააკმაყოფილებს მეორესა და სოფლის მოხელეები გაჩნდებიან, უძახიან: ჩქარა მამასახლისის ფულიო! მოიშორებს ამასაც როგორც იქნება, და მღვდელი, დიაკვანი მიადგება ცარიელი ტომარითა და ჩანახით, ჩქარა დრამაო! სათესლე ჰქონდა გადამალული, პატარა გოდრით გადალესილი; რა ჯანი აქვს, სტრაჟნიკები თავს ადგანან, გოდორს გახსნის და მიურწყამს. მორჩება თუ არა ამას, გაჩნდება სადარაჯო რაზმი: თივა, ცხვარი, შეშა. რა ჰქნას, უკანასკნელი ძროხა ჰყავს, გაჰყიდის და ყველას მოთხოვნილებას ასრულებს. მამასახლისს, სტრაჟნიკებს ქეიფი მოუნდებათ, აჯარიმებენ უმიზეზოდ სოფლის ახლად გამოგონილ ყარაულებს და უყვირიან: ჩქარა კარგი სადილი გაგვიკეთეთო! ცივად მოხარშულ დედლებს, ნაყიდ მოტანილ ღვინოს ლაზათიანად შეექცევიან, დათვრებიან და მასპინძლებს მათრახებით უსწორდებიან.

მამასახლისი სტრაჟნიკებით მიეჭრება გლეხს: ჩქარა „აცენკა მოვიდა და ფული გამოიტანეო! გლეხს აღარა აქვს რა, რა უნდა მისცეს, მიწასთან გასწორებულია და რაც მოჰხვდება მამასახლისს—ჭილოფი დაგლეჯილი ფარდაგი, სახნისი ან დამტვრეული სპილენძის მურიანი ქვაბი, გამოაქვს გასასყიდად, თან გლეხს ბეჭებსა და თავპირში მათრახით უმასპინძლდება.

სადაა სამართალი?!

ამ ტანჯვაში იმყოფება გლეხი. ნათქვამია—წყალ-წაღებული ხავს ეჭიდებაო. გლეხიც მალ-მალე კითხულობს: „გაზეთში რა ამბავია, ჩვენი გაგზავნილი კაცები რას აკეთებენ? რა სთქვეს, უსრულებენ მოთხოვნილებას თუ არაო?

Legatus.

# ფელეტონი

## ქართველები ჟენევასა და პარიზში

(შთაბეჭდილებანი)

(შემდეგი *)

სოც.-დემოკრატების გარდა ჟენეველ ქართველთა შორის სხვა და სხვა პარტიის წარმომადგენლებიც არიან, მაგრამ მათი აწერა და დახასიათება ადვილი არ არის, რადგან, ჯერ ერთი, იმათ არა აქვთ თავიანთი ადგილობრივი ორგანიზაციები და, მეორე, ისე მჭიდროდ არ არიან შეკავშირებულნი და არც ისე განირჩევიან თავიანთ პარტიულ ერთფეროვანებით და ელფერით, როგორც ს.-დ—ბი. ჟენევაში ჩასვლისას მე აზრად მქონდა შემედგინა მოკლე სტატისტიკა საზღვარ-გარედ მოსწავლე ქართველებისა: გამეგო მათი საერთო რიცხვი, რომელ საგანს რამდენი სწავლობდა, რა და რა პარტიას რამდენი ემხრობოდა, მათი ქონებრივი მდგომარეობა და სხ., მაგრამ ეს საქმე ვერ მოხერხდა, რადგან ევროპის მთავარ ქალაქებში გაგზავნილ ათიოდე წერილზე მხოლოდ ერთისგან მივიღე პასუხი. არც ჟენეველ ქართველთა სტატისტიკა მაქვს ხელთ, მაგრამ მათი პარტიული დანაწილება დაახლოვებით შემდეგი უნდა იყოს:

| | | |
|---|---|---|
| სოც.-დემოკრ. | 20—25 | კაცი |
| სოც.-ფედერალ. | 12—15 | „ |
| ანარქისტები | 5—7 | „ |
| ს.-რევოლიუც. | 3—5 | „ |

დანარჩენები უპარტიონი არიან. ზემოხსენებულ ცხრილში ჩარიცხულნი არიან პარტიის ოფიციალური წევრებიც და თანამგრძნობლებიც. სიცოცხლის ნიშან წყალს იჩენენ მხოლოდ ს.-დემ., რომელთაც თავიანთი წრეც აქვთ და საზოგადოდ მჭიდროდ არიან ერთმანეთთან შეკავშირებულნი.

ჟენეველ ქართველთა ქონებრივი მდგომარეობა, საზოგადოდ რომ ვთქვათ, საშუალოა. მათ შორის არ არიან არც ძალიან ღარიბები. 100-ზე მეტი მანეთი თვეში, მგონი, ორს თუ სამს კაცზე მეტს არ მოსდის, 40 მანეთზე ნაკლები —მგონი არავის, გარდა ორიოდე ემიგრანტისა, რომელნიც შემთხვევითი შემოსავლით სცხოვრობენ და არ იციან, დღეს რამდენი ექნებათ და ხვალ რამდენი. საშუალო ბიუჯეტი ჟენეველ ქართველისა უნდა იყოს 50—60 მანეთი, რომელიც ჟენეველ სტუდენტისთვის სავსებით საკმარისია. იქაური ქართველები რომ იქაურსავე რუს და ებრაელ სტუდენტობას შევადაროთ ქონებრივის მხრით, უპირატესობა ქართველებს დარჩებათ. მათ შორის იშვიათად მოიძებნება ისეთი, რომელიც სიმშილობას განიცდიდეს, რუსებში კი ასეთი სტუდენტი მეტად ხშირია. ქართველებს უყვართ სუფთად ჩაცმა, თეატრში სიარული, ზოგჯერ კაფესა და კურზალშიაც შეიხედავენ ხოლმე, მაგრამ ჩემს იქ ყოფნის დროს არც ერთი არ შემხვედრია ისეთი, რომელიც მუდმივი სტუმარი ყოფილიყო კაფე-რესტორანებისა და საზღვარს გადასცილებოდა.

იმათ არ იციან იქაურ ფრანგ სტუდენტებსავით დროისა და ფულის განაწილება და საამისო კალენდრის შედგენა, მაგრამ არც ისე უთავბოლოდ ხარჯავენ ფულსა და ფლანგავენ დროს, როგორც ზოგიერთ ქართველ სტუდენტებს სჩვევიათ რუსეთის ყველა საუნივერსიტეტო ქალაქში. ზოგჯერ, მაგალითად „ესკალადისა“ (მასკარადია ჟენევაში) და ასეთ უქმეებში თითქმის მთელი ჟენევის ქართველობა ერთად იკრიბება, მხიარულად ატარებს დროს და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ივიწყებენ ჩვეულებრივ პარტიულ კინკლაობას და ნამდვილ ქართულ ქეიფით, სიმხიარულით და ჟივილხივილით არე-მარეს ყურადღებას იქცევენ. ფრანგებმა იციან გამხიარულება და ქეიფი, მაგრამ ქართველები სხვაში თუ არა, ამაში მაინც სჯობნიან.

მახსოვს, დეკემბრის დასაწყისში მთელი ჟენევა დღესასწაულობდა რამდენისამე ასი წლის წინად მომხდარ ბრძოლაში გამარჯვებას სავოიელებზე. მთელი ქალაქი გაჩაღებული იყო. დიდი და პატარა, ქალი და კაცი, მდიდარი და ღარიბი—ყველა მორთულ-მოკაზმული დღესასწაულობდა სავოიელთა იერიშის მოგერებას და სამი დღის განმავლობაში ყავახანები ისე იყო გაჭედილი ხალხით, რომ დასადგომი ადგილიც კი არ იპოვებოდა. ღამ-ღამობით ქართველები ერთად იყრიდნენ თავს, გადადიოდნენ ყავახანიდან ყავახანაში და სადაც კი შედიოდნენ, ყველგან სიცოცხლე და გულწრფელი სიმხიარულე შეჰქონდათ. სხვები—სომხები, რუსები, ებრაელები და პოლონელები—ხშირად მეუბნებოდნენ ხოლმე, ჟენევაში ყველაზე მჭიდროდ უფრო ქართველები არიან შეკავშირებულნიო, ქართველები ყველგან ერთად არიან, ერთად ატარებენ დროს და სხვა ერის ხალხს ერიდებიანო. შეიძლება შორიდან ასე მოსჩანდა (თუმცა ყველაზე მჭიდროდ, რასაკვირველია, პოლონელები იყვნენ შეკავშირებულნი), მაგრამ იმათ რომ ჩვენი კოლონიის შინაური ცხოვრება სცოდნოდათ, მაშინ ამას აღარ იტყოდნენ და ქართველებს განდგომილობას აღარ დააბრალებდნენ.

მკითხავენ, უმთავრესი გვითხარით: მუშაობენ თუ არა ქართველებიო? მე რომ ჟენეველ ქართველების გარდა სხვა ქალაქებში მოსწავლე ქართველების ცხოვრებას არ ვიცნობდე, ვიტყოდი: „არა, ჟენეველი ქართველები არ მუშაობენ მეთქი. მაგრამ როცა ჟენეველებს რუსეთის სხვა-და-სხვა საუნივერსიტეტო ქალაქში მოსახლე და პარიზელ ქართველებს ვადარებ, სამართლიანობა უნდა დავიცვა და გადაჭრით ვთქვა, რომ ჟენეველი ქართველები მუშაობენ, სწავლობენ და შრომობენ. ისე არა, როგორც შეიძლებოდა მუშაობა და სწავლა, როგორც ჩვენ გვინდა, მაგრამ შედარებით სხვებთან ჟენეველ ქართველებს საყვედური არ ეთქმით, ან თუ ეთქმით, სხვებზე უფრო ნაკლები.

ჯერ ერთი: იქაურ ქართველთა დიდი უმეტესობა (მეტსაც ვიტყვი: თითქმის ყველანი) ნამდვილ სტუდენტად არის ჩაწერილი და იშვიათია, რომ რომელიმე მათგანი ან ლექციას მოაკლდეს, ან ლექციის შემდეგ დაიზაროს და რომელიმე ლაბორატორიაში არ წავიდეს. იქ ზარმაცი მხოლოდ იმას დაერქმის, ვინც უნივერსიტეტისა და ლაბორატორიის გარეშე არაფერს აკეთებს და თავისუფალ დროს რეფერატებზე ატარებს—განურჩევლად იმისა, ვინ და რაზე კითხულობს რეფერატს. არ ვიცი, როგორ არის ეხლა, მაგრამ რამდენისამე წლის წინად რუსეთის უნივერსიტეტების იურიდიული ფაკულტეტები სავსე იყო ქართველებით. იურისტ სტუდენტს რუსეთში თავისუფლად შეუძლიან მთელი წლის განმავლობაში არაფერი აკეთოს, წლის ბოლოში გადაათვალიეროს საგანი და შემდეგ კურსზე გადავიდეს. უმეტესობა ასეც იქცეოდა. ჟენევის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე მხოლოდ 2 თუ სამი ქართველია, ყველაზე მეტი კი ბუნების მეცნიერებასა და ექიმობას ეტანება. საქიმიო ლაბორატორიაში რომ შევიდოდი ხოლმე, ქართველების ძებნა არა მჭირდებოდა. კარგად არ მახსოვს, მაგრამ ბუნების მეცნიერების ფაკულტეტზე ოცზე მეტი ქართველი უნდა იყოს, რომელთა შორის ოთხიოდე ძალიან ნიჭიერი და მშრომელია. ახალგაზდა ვ. მდივანი ერთ საუკეთესო ქიმიკოსად ითვლება უნივერსიტეტში. პროფესორი დიუპარკი მას ძალიან აქებს და იქაურ ქართველებსაც შეუძლიანთ იამაყონ, რომ მათის წრიდან ასეთი მუშაკი გამოვიდა. შარშან დეკემბერში ასეთი ამბავი მოხდა. მდივანი ლაბორატორიაში მუშაობდა. არ ვიცი, შემთხვევით თუ არა, პლატინის თასში სხვა რაღაც ლითონი გავიდა და ამ ამბავმა უნივერსიტეტში დიდი ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. პროფესორებმა ევროპის სხვა და სხვა უნივერსიტეტს ეს ამბავი დეპეშით შეატყობინეს და მდივანთან ერთად ხელმეორედ და მესამედ სცადეს აღმოჩენის განმეორება. ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, როცა სტუდენტები მუშაობას ათავებდნენ, მდივანი ლაბორატორიაში იკეტებოდა და შუაღამემდის მეცადინეობდა. არ ვიცი, რით გათავდა ეს ამბავი და ძალიან კარგი იქნება, თუ ჟენეველი ქართველები შეგვატყობინებენ მდივანის ცდის შედეგს.

ჟენეველ ქართველთა მეცადინეობა მარტო უნივერსიტეტში ლექციების ყურის გდებით არა თავდება. შარშან ნოემბერში სტუდენტების ერთმა ნაწილმა დაარსა ქართველ სტუდენტა კორპორაცია. ამ ამბავმა იმ დროს ქართველ კოლონიაში მთელი აყალ მაყალი ასტეხა და ერთხელ კიდევ წაჰკიდა ერთმანეთს სხვა და სხვა პარტიები. ერთი ნაწილი ამტკიცებდა, რომ კორპორაციის დაარსება საშუალო საუკუნოების გილდიებისა და ცეხების ორგანიზაციის აღდგენას ნიშნავს და ამიტომ იგი რეაქციონური დაწესებულებააო. კორპორაციის მომხრენი უპასუხებდნენ: ჩვენ არც დროშები გვექნება, არც ლენტები და არც „ზოფინგებთან“ გვექნება რაიმე დამოკიდებულებაო.*) ჩვენ მხოლოდ გვინდა მოვიპოვოთ ის უფლება და ზოგიერთი უპირატესობანი, რომელსაც უნივერსიტეტი აძლევს კორპორაციებს, დავეხმაროთ ერთმანეთს სახელმძღვანელო წიგნებით, ფულით და რითაც შეგვიძლიან, ვიკითხოთ ლექციები, ერთად ვიმეცადინოთო და სხ. დიდი აურ-ზაური და აყალ-მაყალი იყო ამის გამო, მაგრამ კორპორაცია მაინც დაარსდა და ქართველმა სტუდენტებმა თუ არაფერი მოიგეს, წაგებით ხომ სულ არაფერი წაუგიათ. ეხლა უნივერსიტეტი თავის ხარჯით იწერს ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, ქართველ სტუდენტებს ხმა აქვთ სტუდენტთა ცხოვრებაში და სხ.. მაგრამ ყველაზე უფრო კარგი ის არის, რომ კორპორაცია ქართულ სამკითხველოში ყოველ საღამოს მართავს ლექციებს. კითხულობენ ლათინურ ენაზე (ლექტორი ბ-ნი ქიტიაშვილი), გერმანულ ენაზე (ლექტორი ქ-ნი ქიტიაშვილისა), მათემატიკაზე (ბ-ნი მდივანი), ქიმიაზე (ბ-ნი ჰეიშვილი) და სხ. კორპორაციას უნდოდა ქართულ ლიტერატურისა, გრამატიკისა და ისტორიის შესახებაც მოეწყო ლექციები, მაგრამ ლექტორი ვერ იშოვეს და ამ საგანს ჯერჯერობით თავი დაანებეს.

**მადლი.**

(დასასრული იქნება)

*) იხ. „ისარი“ № 67.

*) „ზოფინგებს“ უწოდებენ კონსერვატორ და რეაქციონერ კორპორანტებს.

№ 71

# სათათბირო და საბჭო

(სააგენტოს დეპეშები)

**ს. ს. სათათბიროს სხდომა.** 29 მარტს სხდომა დაიწყო 11 საათსა და 10 წუთზე, გოლოვინის თავმჯდომარეობით. პირველად წაიკითხეს იუსტიციის მინისტრის მოხსენება დეპუტატის კუზნეცოვის პასუხის გებაში მიცემის შესახებ. ჯერი მიდგა ისევ აგრარულ საკითხზე. მინისტრთა ლოჟაში ვასილჩიკოვი და შვანებახი შემოვიდნენ.

პურიშკევიჩმა სიტყვის თქმის ნება მოითხოვა და განაცხადა: რადგან ამ რამდენისამე დღის წინად სათათბირომ ფეხზე ადგომით პატივი სცა იოლლოსის ხსოვნას მის საზიზღარ მოკვლის გამო, ამიტომ წინადადებას ვიძლევი, ფეხზე ადგომითვე პატივი ვცეთ ამ დღეებში მოკლულ იმ რუსების ხსოვნას, რომელთაც შეიძლება არც კი ვინმე იცნობდეს (აქ პურიშკევიჩმა წაიკითხა სია ამ რუსებისა,

თავმჯდომარემ ორატორი შეაჩერა და შენიშნა, რომ იმისი სიტყვა ამ დღისთვის დანიშნულ საგანს არ შეეხებაო.

პურიშკევიჩმა უფრო ხმა მაღლა მორთო ყვირილი, რომ თავმჯდომარის ხმა დაეფარა. მე გოლოვინს კი არა,—სთქვა მან,—სათათბიროს თავმჯდომარეს ველაპარაკებიო. თქვენ უფლება არა გაქვთ, ამ საკითხის გულისთვის შემაჩეროთ. მე წინადადებას ვაძლევ სათათბიროს (კიდევ უფრო აუწია ხმა), ფეხზე ადგომით პატივი სცეს მოკლულთ ხსოვნას. (ფეხზე ადგა რამდენიმე კაცი, მათ შორის ორივე ლოჟაში მყოფი მინისტრი. ხმაურობა, განგაში).

თავმჯდომარემ გაიკვირვა საქციელი პურიშკევიჩისა, რომელსაც წინ და წინვე არაფერი განუცხადებია თავმჯდომარისთვის, და რომელიც ეხლა სცდილობს საგნების განხილვის წეს-რიგის შეცვლას.

პურიშკევიჩმა თავის ადგილიდან დაიყვირა: მე არ შემიძლიან, მაგრამ როდიჩევს შეუძლიან? იმიტომ რომ ის თქვენია და მე-კი არა!

თავმჯდომარე: საქციელი პურიშკევიჩისა, რომელმაც საგნების განხილვის წეს-რიგი დაარღვია, უადგილოდ მიმაჩნია და შესაფერ შენიშვნას ვაძლევ.

პურიშკევიჩი: თქვენ შენიშვნას მაძლევთ მარტო მე კი არა, მთელ რუსეთის ერთგულ ქვეშევრდომთ (საშინელი ხმაურობა).

თავმჯდომარემ კენჭი უყარა იმ საკითხს, რომ დეპუტატი პურიშკევიჩი, მე-38 მუხლის ძალით, განდევნილ იქნას დღევანდელ სხდომიდან. გაისმა ძლიერი ტაში უმრავლესობამ, რამდენისამე მემარჯვენის წინააღმდეგ, დაადგინა, დაითხოვოს პურიშკევიჩი ამ დღის სხდომიდან. პურიშკევიჩი გავიდა და თან საშინლად ყვიროდა: „სირცხვილი, სირცხვილი, ეს რუსის სათათბირო არ არისო!“ (ტაში).

კრუპენსკი. ახლა ამან დაიწყო ყვირილი. იგი სცდილობდა, თავის ხმით დაეფარა ტაშის ცემის ხმა. მან მემარჯვენეებს ყვირილით წინადადება მისცა, დარბაზიდან დემონსტრატიულად გასულიყვნენ, მაგრამ ადგილიდან არავინ დაძრულა. „მაშ მეც გამაძევეთ აქედან, სირცხვილი!“ დაიყვირა კრუპენსკიმ და დარბაზიდან გავიდა.

თავმჯდომარე. გთხოვთ დამშვიდდეთ. საქმე არც ისე სერიოზულია, როგორც ზოგიერთებს სურთ მოგვაჩვენონ. შეუძლებელია წამოყენებულ იქნას რომელიმე საკითხი, რომელიც უწყებაში არ არის აღნიშნული, თუ ამაზე მსურველმა წინდაწინ თავმჯდომარეს არ შეატყობინა. წინააღმდეგ შემთხვევაში კერძო წევრს შეძლება აქვს, როცა მოისურვებს, ჩაშალოს ახალ საკითხის შეტანით ამა თუ იმ საკითხის განხილვა. პურიშკევიჩმა არ შეასრულა ეს ძირითადი წესი და არც სასურველად მოექცა როგორც სათათბიროს, ისე იმის თავმჯდომარეს. ამიტომაც დღეს იგი დათხოვნილ იქმნა. საკითხი მარტივია. თითოეულ თქვენგანმა, ვისაც სურს რამე წინადადების შემოტანა წინ და წინ თავმჯდომარეს უნდა შეატყობინოს.

სათათბირო აგრარულ კომისიის არჩევნების წეს-რიგზე გადავიდა. ვასილჩიკოვი და შვანებახი გავიდნენ. მიღებულ იქმნა წინადადება, რომ მთავრობის ყველა კანონ-პროექტი, რომელსაც ფინანსიური ფასიათი აქვს, საფინანსო კომისიას გადასცენ, სათათბიროს-კი კანონ-პროექტთა სია წაუკითხონ ხოლმე. უარ ჰყვეს წინადადება, რომ აგრარულ კომისიაში 60% გლეხი იქნას არჩეული. მიიღეს წინადადება, რომ აგრარულ კომისიაში დასტოვონ ადგილი ჯერ კიდევ აურჩეველ წევრებისთვის. მიიღეს წინადადება, რომ 99 წევრისაგან შემდგარი კომისია არჩეულ იქნეს პროფ. პეტრაჟიცკის აზრის თანახმად, რომელიც პირველმა სათათბირომ მოიწონა. აგრარულ კომისიის არჩევნები 30 მარტისთვის დაინიშნა. ამის შემდეგ სათათბირო შეუდგა კამათს აგრარულ საკითხის შესახებ.

გრაფმა ბობრინსკიმ პასუხი გასცა მღ. ტიხვინსკის. აღნიშნა, რომ მღვდელმა ტექსტები სწორედ არ მოიყვანა. შემდეგ სთქვა, რომ ჩვენ, მემარჯვენეები კიცხვასა და ლანძღვაზე პასუხს არა ვცემთო. ასეთი ლანძღვა-კიცხვა მთქმელსავე დაუბრუნდება და იმ კრებას, ამის თქმის ნებას აძლევს. მე ვამაყობ, რომ წილად მხვდა პროტესტი განვაცხადო იმათ წინააღმდეგ, ვინც ტალახში სვრის რუსის ისტორიის უსპეტაკესს ფურცლებს. აქ სთქვეს, რომ გლეხთა განთავისუფლება სულ ერთინად თვალთმაქცობა იყოო. არსებითად ამას არ შევეხები, ვიტყვი მხოლოდ, რომ გლეხთა განთავისუფლება საყვედურზე მაღლა სდგას. კრძალვით ვიხსენიებ თავ. ჩერკასკის, სამარინის, მილიუტინის, გრაფ როსტოვცევის სახელებს და მათზე უმაღლესად მდგომის ალექსანდრე მეორის სახელს (ტაში). ის მოკლულ იქმნა არა ოლიგარხებისა და როზგის მომხრეთა მიერ. მან ხომ გლეხთა ყმობისაგან განთავისუფლებით თავად-აზნაურობაც განათავისუფლა დამამცირებელის ყმათაყოლისაგან. იგი მოჰკლეს რევოლიუციონერებმა და წითელი დროშა, რომელიც ახლა რუსეთის ქალაქების ქუჩებში დააქვთ, არ არის დროშა „მიწისა და თავისუფლებისა“; ეს დროშა მეფე განმათავისუფლებელის სისხლით არის მოსვრილიო (მარჯვნივ ტაში). ორატორი გადავიდა აგრარულ საკითხზე და სთქვა: ჩვენ ტაქტიკური მიმართულების პარტია არა ვართ. ჩვენ არავითარი იდუმალი აზრი არა გვაქვს. მტკიცედ და აშკარად ვამბობთ, რომ გლეხთა უმრავლესობის მდგომარეობა მეტად მძიმეა. უპირველესი მოვალეობაა სათათბიროსი და მთავრობისა დაეხმარნენ გლეხობას. ყველაზე უფრო სავალალო ისაა, რომ გლეხები ცუდ მდგომარეობიდან თავის დასახწევ გზას ვერა ხედავენ. მათი აზრი იხშობა, გული ქვავდება; ალაგ ალაგ ისინი ჰყვებიან უგუნურ ფანატიკოსების ფეხის ხმას, რომელნიც ათას წლოვან გლეხობას დაღუპვისაკენ მიაქანებენ. შემდეგ ორატორმა ურჩია სათათბიროს, თავი დაანებოს პარტიულ აგიტაციას, მთავრობის კრიტიკას, სათათბიროს ქვეშ გაარჩიეთ მთავრობის კანონ-პროექტი, და ხელი შეუწყეთ მის განხორციელებას. ორატორმა მოიყვანა დასავლეთ ევროპის მაგალითი. იქაც ამ ასის წლის წინად აგრარული საკითხი აწეწილ-დაწეწილი იყო, მაგრამ იქ შესძლეს გაჭირვებისაგან თავის დახწევა და, ღვთით, ჩვენც შეიძლება დავახწიოთ თავი. მაგრამ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები აგრარულ საკითხის გადაწყვეტის დროს ძალით ჩამორთმევის პრინციპით არა ხელმძღვანელობდნენ; მათ განამტკიცეს მიწის კერძო საკუთრება და დღეს გლეხი იქ მოქალაქედ გადაიქცა და თითო დესეტინა მიწიდან ას-ას ფუთ პურს იღებს. ჩვენი გლეხი კი, სადაც მიწის საზოგადო სარგებლობაა, 30—35 ფუთსაც ვერ იღებსო. განამტკიცეთ მიწის კერძო საკუთრება, მიეცით გლეხს საშუალება, მიწა საკუთრად შეიძინოს, ამისთვის ფულს ათ მილიონობითაც ნუ დაზოგავთ, გადაასახლეთ ხალხი ციმბირში, თურქესტანში,—აი მოკლედ ჩვენი პროგრამაო. დასასრულ ორატორმა შრომის ჯგუფის და კადეტების აგრარული პროგრამები უარ-ჰყო და სთქვა: რუსის გლეხის წინაშე ორი გზაა: ერთი გზა მიწის მთლად წართმევისა, მეორე გზა ვიწრო, ეკლიანი, აღმართისკენ მიმავალი, მაგრამ მიმყვანელი ზესთა სიმართლისაკენ, კანონიერებისა და კეთილდღეობისაკენ. როცა სათათბირო მიხვდება, რომ ვიწრო გზა არის ჭეშმარიტი გზა, მაშინ გლეხობას ამ გზით გაატარებს. დადგება გლეხკაცობისათვის ისეთი ბრწყინვალე დღე, როგორიც იყო 1861 წლის 19 თებერვალიო. (ტაში მარჯვნივ).

ფოკეევმა (ს.-რევოლ.) აღნიშნა საგლეხო ბანკის მოქმედების ნაკლულოვანებანი. პასუხი გასცა მემარჯვენეთ და მათი საბუთები დაარღვია. იმის აზრით, აგრარულ საკითხის გადაწყვეტაში სარწმუნო დაწესებულება მხოლოდ გლეხთა მიერ ადგილობრივ შედგენილი კომიტეტია. ორატორის ფიქრით, კადეტებმა მოისურვეს შეურიგებელის შერიგება—ბატონისა გლეხთან. კადეტები მემარჯვენეებთან უფრო ახლო არიან, ვიდრე სახალხო ჯგუფებთან. გლეხები აგრარულ საკითხს პრაქტიკულის თვალით უყურებენ და მიწა მთლად ხალხის საკუთრებად მიაჩნიათ. აგრარულ საკითხი გადასწყდება მხოლოდ ადგილობრივ კომიტეტებშიო, დაამთავრა ორატორმა.

საიკომ (უკრაინელი) კერძო საკუთრება უარ-ჰყო. ბევრი ილაპარაკა უკრაინის წარსულზე, იმ უკრაინაზე, სადაც ვერცხლივით წმიდა მდინარენი მიჩანჩქარებენ, სადაც ყოველიფერს დოვლათიანობის დაღი აზისო. მოიხსენია წინანდელი ავტონომია მცირე რუსეთისა და ამ დროს უბედნიერესი დრო უწოდა, მოიყვანა ადგილები პატრიარქ მაკარის დღიურიდან, უკრაინის სახალხო ლექსებიდან. შემდეგ შრომის ჯგუფის და უკრაინელ ჯგუფის აგრარული პროგრამები ერთმანეთს შეადარა, მათ შორის განსხვავება აღნიშნა და დაასკვნა, რომ უნდა გაუქმდეს აგრარული კანონი, გამოცემული მე-87 მუხლის თანახმად, გაუქმდეს საგლეხო ბანკი, დაარსდეს ადგილობრივი კომიტეტები და დაუყონებლივ შემოღებულ იქმნას ადგილობრივი თვით-მმართველობა.

სათათბირომ უარ-ჰყო სიტყვის თქმის ათი წუთით შეზღუდვა.

სხდომა განახლდა 2 საათსა და 55 წუთზე.

ეფრემოვმა, ს.-რევოლიუციონერმა, განაცხადა, რომ ჩვენი პარტია წარმოადგენს საკუთარ აგრარულ კანონ-პროექტსაო.

შინგარევმა კამათის გაგრძელება მეტად სცნო. მარჯვნივ საქმიანი სიტყვები ნაკლებ წარმოსთქვესო. დაეყარა რა სვიატოპოლკ-მირსკის სიტყვას, დაასკვნა სულ წინააღმდეგი. შემდეგ ორატორმა სთქვა: მემარჯვენეთა კრიტიკა სერიოზული არ არის, მათი საქმის მასხარად აგდება მაღალ კრების ღირსების შემლახველია. მემარცხენეთაც მართალი სიტყვები სთქვეს. მათი პროექტი განუხორციელებელია. შეუძლებელია კულტურულ ქვეყანაში პრინციპად აღიარებულ იქნას ძალადობა და წართმევ-წაგლეჯა. ასეთი პრინციპი გამოიწვევს ადგილ-მამულის ანარქიას, ურთ-ერთ ბრძოლას და შეიძლება სისხლიც დაიღვაროსო. გაიმარჯვებს სიტყვა კი არა, ცხოვრება. მაშასადამე, გაიმარჯვებს კადეტების კანონ-პროექტი, რადგან იგი ცხოვრებაა და არა სიტყვა

გერასიმოვმა ბევრ ხანს ილაპარაკა თერგის ოლქის კაზაკების აგრარულ საჭიროებაზე და შემდეგ დასკვნამდე მივიდა: აგრარულ საკითხის გადაწყვეტა ძალადობით და სისხლის ღვრით არ შეიძლება. სანამ ხელში კალამი გვიჭირავს და კანონების წერა შეგვიძლიან, უნდა ამით ვისარგებლოთ და არა თვითნებობის კომბლებით. კომბლები არსად არ გაგვექცევაო.

შეიტანეს წინადადება სიტყვის ათი წუთით განსაზღვრის შესახებ. დარჩა 90 ორატორი. რადგან დაგვიანდა, კამათი შესწყვიტეს.

თავმჯდომარემ განაცხადა, მივიღე 32 წევრის მიერ ხელ-მოწერილი განცხადება: ეს წევრები პურიშკევიჩის დათხოვნის გამო პროტესტს აცხადებენ და შენიშვნებს აძლევენ სათათ. თავმჯდომარეს. რადგან სათათბიროს არც ერთ წევრს ნება არა აქვს თავმჯდომარეს შენიშვნა მისცეს, ამიტომ ეს განცხადება სათათბიროს არ მიეხსენდება და მხოლოდ სხდომის ჟურნალს მიეკერება. ამნაირად თითოეულს საშვალება მიეცემა გაიგოს, ვინ არის ამ საქმეში დამნაშავე. სხდომა დაიხურა 6 საათსა და 3 წუთზე.

ოქტომბრისტები და მემარჯვენეები აცხადებენ: როცა პურიშკევიჩმა მოითხოვა ფეხზე ადგომით პატივი ეცათ მოკლულთა ხსოვნისათვის, ფეხზე წამოდგნენ ოქტომბრისტები, მემარჯვენეები და ცენტრიდან კუზმინ-კარავაევი.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სათათბიროს თავმჯდომარეს აცნობა, რომ სათათბიროს კომისიებში გარეშე, მცოდნე პირთათვის სათათბიროს შენობაში შესასვლელ ბილეთის მიცემა განსაზღვრულია უმაღლესად დამტკიცებულ კანონებით. ეს საქმე, ესე იგი, გარეშეთა შეშვება უნდა მოეწყოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და სათათბიროს ურთიერთშორის შეთანხმებით.

(გაზეთებიდან)

**მინისტრების დემონსტრაცია.** როგორც ამ ჟამად გამოირკვა, 23 მარტს მინისტრები განზრახ არ დასწრებიან სათათბიროს სხდომას. მიზეზი ის ყოფილა, რომ მინისტრებს ერთობ სწყენიათ დეპუტატის როდიჩევის სიტყვა; ყველაზე უფრო კი გულ-ნატკენი ყოფილა ამ სიტყვის გამო ფინანსთა მინისტრი, რომელიც მაშინვე გავიდა ზალიდან, როცა როდიჩევმა იგი ახალგაზდა მოხელეს შეადარა. თავის ამხანაგებთან თათბირის დროს ფინანსთა მინისტრმა სთქვა, რომ ს.-დ—ის ალექსინსკის სიტყვა იმის აზრით როდიჩევის სიტყვაზე უფრო დინჯი და ტაქტიკური იყო. შემდეგ მინისტრთა შორის ცხარე კამათი ასტყდა იმის შესახებ, თუ როდიჩევის სიტყვა პირად ოფიციალურ გამოლაშქრებად ჩასთვალონ რადგან კადეტებისაგან მინისტრები ასეთ ცხარე სიტყვას არ ელოდნენ, გადასწყვიტეს, არ დაესწრენ სითათბიროს სხდომას სანამ ეს საქმე არ გამოირკვევა. სათათბიროს შენობაში იყვნენ მინისტრები სხდომის დროს, სადაც იმათ ცნობებს აწვდიდნენ მოხელეების სხდომის მიმდინარეობის შესახებ.

**ხალხის გამოკვება.** შინაგან საქმეთა სამინისტროში ამ ჟამად ანგარიშს ადგენენ იმ მოხელეთათვის, რომელთაც დაევალებათ სათათბიროს მიერ დანიშნულ კომისიაში ხალხის გამოკვების საქმის განმარტვა. სხვათა შორის სამინისტროს გადაუწყვეტია, გაშოაშკარავოს თავისი შეცდომები და აღიაროს, რომ დანიშნულ დროზე, ესე იგი, მარტის შუა რიცხვებამდის, გლეხებს ვერ მიაწოდებს ოთხ მილიონამდე ფუთ სათესლე პურს.

**უსაქმოთა დიდი ჯამაგირები.** სახელმწიფო საბჭოში განხილულ იქნა ხარჯთაღრიცხვები სინოდის, იუსტიციისა და საერობო განათლების სამინისტროებისა და აღმოჩნდა რომ დასახელებულ დაწესებულებათა უწყებებში ბევრი მოხელეა, რომელნიც უსაქმობისათვის დიდ ჯამაგირს იღებენ, გადაწყდა განსაკუთრებულ კომისიას მიენდოს ამ მოხელეთა რიცხვის განსაზღვრა.

**უარყოფილი თხოვნა.** სათათბიროს საბიუჯეტო და საფინანსო კომისიებმა მიმართეს, სათათბიროს თავმჯდომარის საშუალებით, ფინანსთა სამინისტროს თხოვნით, გამოჰგზავნონ სხვა-და-სხვა მასალა, რომელიც იმათ ბიუჯეტისა და სამინისტროს კანონ-პროექტების განსახილველად სჭირდებათ. სამინისტრომ უარჰყო კომისიების თხოვნა და აცნობა, ეს საქმე მინისტრთა საბჭოს გადაეცემა გადასაწყვეტადო.

**მემარჯვენეების მოულოდნელი დეპეშა.** მას შემდეგ, რაც სათათბირო გაიხსნა, მემარჯვენეთა მეთაურების თაოსნობითა და განკარგულებით პროვინციიდენ „ნამდვილ რუსთა“ ბევრმა განყოფილებამ მიმართა ხელმწიფეს და მთავრობას თხოვნით სათათბიროს გარეკის შესახებ, ხოლო ამ ბოლო დროს ამ დეპეშებში ერთი მოულოდნელი დეპეშა აღმოჩენილა, სტავროპოლის ნამდვილ რუსთაგან უმაღლეს სახელობაზე გაგზავნილი. ისინი ემუდარებიან ხელმწიფეს დაიცვას თვითმპყრობელობა, ხანგრძლივად იმეფოს მტერთათვის თავზარდასაცემად, რათა ამ მტრებმა ხელი არ შეუშალონ ხელმწიფე იმპერატორისა და სათათბიროს შეერთებულ მუშაობას სრულიად რუსეთის საკეთილდღეოდ.

# ახალი ამბავი

**✦ პოლიტიკური ტუსაღები.** სოხუმიდან გვწერენ: 15 მარტს ოდესიდან ჩამოიყვანეს ოთხის ჟანდარმის თანხლებით სტუდენტი ვლად. გობეჩია და დაამწყვდიეს აქაურ ციხეში. აბრალებენ შეიარაღებულ აჯანყებისათვის ხალხის მოწოდებას. სოხუმისავე ციხეში სხედან პოლიტიკურები: ვლად. ემუხვარი, იოსებ მატახერია, ივ. ივანიუშენკო, ვასილ ღურჯუა და სიმონ თავაძე. ამ დღეებშივე უნდა ჩამოიყვანონ აქაურ სატუსაღოში დასამწყვდევად ის ათი კაცი, რომელთაც აბრალებენ შარშანწინ გუდაუთში იარაღის შემოტანას. [illegible] არიან: დომენტი ქოჩულარია, ისარონ გიგიბერია, აზნაური ერისტო[illegible] [illegible] [illegible] გოშიძე, ბენიამინ [illegible], პეტრე [illegible] რაცხელია, [illegible] [illegible] საქმე ტფ. სამოსამართლო პალატაშია.

**✦ დამშეულთა დახმარება.** 29 მარტს საღამოთი ტფ. საბჭოს დარბაზში თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით მოხდა კრება ხმოსნებისა და ზოგიერთ საზოგადო დაწესებულების წარმომადგენელთა. დაესწრო კრებას 50 კაცამდე. თათბირი ჰქონდათ იმაზე, თუ როგორ დაეხმარნენ კავკასიაში დამშეულთ. მოკლე მოხსენება წაიკითხა ბ-ნმა დავიდოვსკიმ. მომხსენებელმა, აღნიშნა რა შიმშილი რუსეთსა და კავკასიაში, საჭიროდ იცნო ისეთ კომიტეტის დაარსება, რომელიც იკისრებს ფულის მოკრებას და დამშეულთა დახმარებას. ასეთი კომიტეტი უნდა დაარსდეს ტფ. ქალაქის თვითმართველობასთან. კომიტეტმა თავის მოქმედების ასპარეზი არ უნდა შეზღუდოს ამა თუ იმ ტერიტორიით. შეიძლება აღმოჩნდნენ ისეთი შემომწირველნი, რომელთაც მოისურვონ რუსეთის შიდა გუბერნიის დამშეულთა დახმარებაო. მოხსენებამ კარგა ხანი კამათი გამოიწვია. სიტყვა წარმოსთქვა სხვათა შორის თავ. ალ. მ. არგუთინსკიმ. მან სთქვა: მართალია დიდად თანაუგრძნობთ რუსეთის დამშეულთ, მაგრამ აქ ცოტა მაინც უკედ არის მოწყობილი დამშეულთა დახმარების საქმე. მთავრობამ 120 მილიონამდე გადასდო დამშეულთათვის: ამ საქმისათვისვე შრომობენ საერობო დაწესებულებანი და ქალაქის თვითმართველობანი, ჩვენში კი არაფერი ამგვარი არ არის, არც მთავრობა გვიწევს დახმარებას. მართალია, მთავრობამ 170,000 მან. გადმოგზავნა კავკასიაში დამშეულთათვის, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში. საზოგადოებას არ შეუძლიან გამოიღოს ამ საქმისთვის საჭირო ფული. დიდი რაიონი იმერეთისა დამშეული აღმოჩნდა, ასევეა განჯის გუბერნიაში. ამიტომ ჩვენმა ორგანიზაციამ კავკასიის დეპუტატების პირით უნდა იშუამდგომლონ სახელმწიფო სათათბიროს წინაშე, რომ გადაიდოს ამ საქმისათვის საჭირო ფულიო. რაც შეეხება დამხმარებელ კომიტეტს ტფ. ქალაქის თვითმართველობასთან მოწყობას, ეს შეუძლებელია, რადგან ქალაქის საბჭო შებორკილია ადმინისტრაციისაგან და ამ საქმეში დიდს დაბრკოლებას გადაეღობება. ბევრად უკეთესი იქნება კომიტეტი დავაარსოთ კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოსთან, რომელსაც წესდებით უფლება აქვს მთელს კავკასიაში მოქმედებისაო. ილაპარაკეს სხვებმაც. ბევრმა სთქვა, დამოუკიდებელი საზოგადოება დავაარსოთო. უმრავლესობა მიემხრო თავ. არგუთინსკის წინადადებას. ზოგმა განაცხადა, საჭირო არ არის ახალ საზოგადოების დაარსება, რადგან უკვე არსებობს ქართული, სომხური და თათრული საქველმოქმედო საზოგადოებანი; საჭიროა ამას დავეხმაროთ ფულითაო. კამათმა ღამის 12 საათმა გასტანა. კრებამ დასასრულ დაადგინა, ამოირჩიონ სამი კაცი, რომელნიც უნდა მოელაპარაკნენ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ვიცი-პრეზიდენტს თავ. გრუზინსკის, დამხმარებელ კომიტეტის ამ საზოგადოებასთან მოთავსების შესახებ. დამხმარებულ კომიტეტის წევრებად არჩეულ იქმნენ: თავ. ვ. ს. მიქელაძე, ა. ბ. არაქელიანცი, პ. ა. გოთუა, ი. ხიზატუროვი, ე. ო. იოსელიანი, ა. ბ. ევანგულოვი, ა. ა. მუხრანსკი, ა. ი. მილოვი, ვ. ვ. რადზევიჩ-ბელიევიჩი, ი. პ. ნაკაშიძე, სობოლევსკი, დერჟავინი, ი. ქუთათელაძე, პოპოვიანცი, მ. შ. მირზოევი, ი. ბ. ვექილოვი და პ. ე. ერმოლაევი.

**✦ სასტიკი ზომები გაფიცვის წინააღმდეგ.** როგორც ვწერდით პეტებურგიდან ბაქოში გაიგზავნა ჟანდარმთა კორპუსის უფროსი გენერალი ტაუშე. ეხლა, როგორც სააგენტოს დეპეშა გადმოგვცემს, გენერალს ნაბრძანები აქვს, დაუყოვნლივ მიიღოს ზომები გაფიცვის ჩასაქრობათ,

**✦ რკინის გზა სამხედრო კაცების ხელში.** „ტფ. ლის.“ მეტად საყურადღებო ამბავს გადმოგვცემს. გაზეთების სიტყვით, რკინის გზათა მთავარ სამართველოს განკარგულება მოუვიდნია, რომ

მთელ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე მატარებლების რევიზორებად, სადგურის უფროსებად, მათ თანაშემწეებად, ობერ-კონდუქტორებად და მაშინისტებად სულ საპიორის აფიცრები და სარკინის გზო ბატალიონის სალდათები დანიშნონ ამათი დანიშვნა თან და თან მოხდება.

✦ **მიწის ძვრა.** ჯულფაში 28 მარტს საგრძნობლად მიწა იძრა.

✦ **პროფ. საზოგადოება.** ტფილისის დურგალთა ხელოსნების ერთ ჩვუფს გადუწყვეტია პროფესიონალურ საზოგადოების დარსება. წესდება უკვე შეუმუშავებიათ და მათ წარუდგინონ გუბერნატორს დასამტკიცებლად.

✦ **პოლიტიკური საქმე.** 29 მარტს ტფ. სამ-სამართლო პალატამ განიხილა საქმე კუბოების მაღაზიის პატრონის ხოჯაბოვისა და იმის ნოქრის პოლოსოვისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ მთავრობის საწინააღმდეგო გამოცემათა გავრცელება. გაჩხრეკის დროს ხოჯაბოშოვს უნახეს „დაშნაკცუთუნის" პარტიის მესამე კრების გადაწყვეტილებანი. პალატამ პოლოსოვი გაამართლა, ხოლო ხოჯაბოშოვს მიუსაჯა ორის თვით დაპატიმრება.

✦ **სომხური დრამატიული საზოგადოება.** სომხურმა დრამატიულმა საზოგადოებამ 29 მარტს სხდომაზედ თავმჯდომარედ ამოირჩია რ. ა. იონესიანი, თავმჯდომარეს ამხანაგად მ. ა. ჯაბარი, ხაზინადრად წურინოვი და მდივნად—შირინიანი.

✦ **საერთო დაჯარიმების მოსპობა.** როგორც ვიცით, ხშირად რაიმე საქმისთვის მთელ სოფლებს და ქალაქებს აჯარიმებენ. როგორც „პარუს"-ი გადმოგვცემს, კავ. ნამესტნიკს წინადადება მიეცა, მოსპოს საერთო ჯარიმები.

✦ **შიმშილი ჯავახეთში.** როგორც ხმა დადის, მთელი ჯავახეთი შარშანდელ მოუსავლობისა გამო ძალიან შევიწროვებულია თურმე. ხორბალი ხალხს კარგა ხანია გამოლევია. ეხლა შინაურ საქონელს ჰყიდიან თურმე და იმით ყიდულობენ ფქვილს. ფუთი ფქვილი 2 მან. 50 კაპ.

✦ **28 მარტს დაპატიმრებულნი.** როგორც ოფიციალური გაზეთი „კავკაზ"-ი გადმოგვცემს, მარტო 28 მარტს ტფილისში დაუპატიმრებიათ ორას კაცზე მეტი.

✦ **ამერიკულ ვაზის ახალი სანერგეები.** რადგან ამ ბოლო დროს დიდი მოთხოვნილებაა ამერიკულ ვაზისა, მიწათ-მოქმედების სამინისტროს გადაუწყვეტია დაარსოს კავკასიაში რამდენიმე ახალი სანერგე.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** ვიატკის გუბერნიაში სამის წლით იგზავნება სოფ. ახალქალაქელი თედო ბუჭურიძე, რომელსაც რევოლვერი აღმოაჩნდა. საგ.-გუბერნატოროდან ეტაფით იგზავნებიან: ნიკოლოოზ თელია, ვ. გრიგორიევი და ა. სიმონიანცი. ორ-ორი თვით დააპატიმრეს შემდეგი მედუქნეები, რომელთაც პატენტის აუღებლობის გამო დადებული ჯარიმა არ გადაიხადეს: ა. აკოფოვი, დ. ტოტოროვი, ი. ზარიკაშვილი, ს. ასკანოვი, გ. შახნაზაროვი, ვ. ჯარაშპელოვი, ს. მაილოვი, ნ. დარისპანაშვილი, ს. იორაშოვი, დ. ბეგიევი, კ. მაკაროვი, ა. არუთინოვი, ვ. ბახუტოვი, ი. სტეპნოვი, გ. ეგიანცი, ჩ. აივაზოვი, გ. გუკასოვი, ს. ოსიფოვი, ი. ყარანოვი, ა. არუთინოვი, ი. ტურაძე, ნ. ხატიაშვილი, გ. მჭედლიშვილი, ს. არუთინოვი და ი. ქიტოევი.

✦ ჩვენი გაზეთის მე-7 ნომერში შეცდომით მოთავსებული იყო ამბავი ალექსანდრე გვარჯალაძის შესახებ, თითქო იგი შიმშილისაგან გარდაცვლილიყოს. როგორც იმისმა ამხანაგებმა გვაცნობეს, უმაწვილ კაცს გულის სნეულობა სჭირებია და ამ ავადმყოფობისაგან უეცრად გარდაცვლილა.

✦ 29 მარტს პოლიციამ ხოჯივანქის სასაფლაოზე დააპატიმრა მიხეილ ბოსიკაშვილი, ალექსანდრე ქვათაძე და გიორგი გოგასოვი, რომელთაც, პოლიციის ცნობებით, ალშვანგის მაღაზიის გამგისათვის უსახელო ბარათით ფული მოუთხოვნიათ. დაპატიმრებულნი გამოტეხილან.

✦ ბ-ნი დათიკო ბაქრაძე გვთხოვს დავბეჭდოთ: „ნება მიბოძეთ, თქვენის გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადო ჩემს ამხანაგებს—„ქუთაისის დრამატიულ დასის ამხანაგობას"—რომელთაც ჩემის მძიმე ავადმყოფობის დროს ქონებრივი დახმარება აღმომიჩინეს, ჯერ ერთი წარმოდგენის გამართვით და მეორე მით, რომ ყოველ წარმოდგენიდან ამხანაგურად მიყოფდნენ ნაწილს. ულრმესი მადლობა აგრეთვე მათ, ვინც კეთილი ინება და ჩემ სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენის დროს პრემიები გამოგზავნა. ულრმესი მადლობა ბ-ნ ხელაძეს და კალაძეს, რომელთაც აფიშა უფასოდ დასთმეს ამ საღამოსთვის. დათიკო ბაქრაძე".

✦ 29 მარტს ვერაზედ წყნეთის ქუჩაზედ უეცრად გარდაიცვალა გზად მიმავალი ვიღაც უცნობი, რომლის გვამი მიხეილის საანატომიო თეატრში წაიღეს.

# ქუთაისის ქრონიკა

✦ ჩვენს გაზეთში მოთავსებულ ცნობისთვის სტრაჟნიკის მიერ მეეტლისა და ლალიაშვილის გამათრახების შესახებ ყურადღება მიუქცევია სტრაჟნიკების ახლად დანიშნულ ინსპექტორს ეფენდიევს და გამოძიება დაუნიშნავს. სხვათა შორის საქმის გარემოება უკითხავთ საადგილმამულო ბანკის ვექილისათვის, რომელსაც სავსებით დაუმოწმებია გაზეთში მოყვანილი ცნობა. სტრაჟნიკი ორის კვირით დაუპატიმრებიათ და შემდეგ ამისა სამსახურიდან დათხოვნას უპირებენ.

✦ 27 ამ თვეს მოხდა საჯარო ვაჭრობა საადგილ-მამულო ბანკში დაგირავებულ ქუთაისის იმ მამულებისა, რომლის პატრონთ გადასახადი არ ჰქონდათ შეტანილი ბანკში. დიდმა უმრავლესობამ ფული შეიტანა; ათი მამული კერძო მორიგებით გაიყიდა, ხოლო დანარჩენ მამულების ვაჭრობა გადაიდო 12 აპრილისათვის. ამავე დღეს მოხდება მეორე ვაჭრობა სოფლისა და დაბა-ქალაქების იმ მამულებისა, რომლის პატრონებიც გადასახადს ვერ შეიტანენ პირველ ვაჭრობაზე. ვაჭრობის დღეს ბანკის კასაში შესულა 40.000 მანეთამდე.

✦ ქალაქის სასწავლებლების კომისიას განუზრახავს ქალაქის სასწავლებლებს მუდმივი ბინა მოუპოვოს და ამისათვის მოლაპარაკება გაუმართავს რამდენსამე სახლის პატრონთან ადგილისა და სახლების შეძენის შესახებ. გამოირკვევა თუ არა საკითხი, კომისია ამ საგნის შესახებ მოხსენებას წარუდგენს ქალაქის საბჭოს.

✦ ფოთის ქალაქის თავს აღუძრავს საკითხი იმის შესახებ, რომ ფოთში შეტანილსა და გატანილ საქონელზე დაწესდეს ქალაქის სასარგებლოდ გადასახადი. მოხსენებას ამ საგნის შესახებ ბ-ნი ნიკოლაძე წარუდგენს ქალაქის საბჭოს 28 ამ თვეს და ეჭვი არ არის, რომ საბჭო შეიწყნარებს ქალაქის მოურავის წინადადებას. ბ-ნ ნიკოლაძეს იმედი აქვს თურმე, რომ შუამდგომლობა ქალაქისა შეწყნარებული იქნება. ამნაირივე შუამდგომლობის აღძვრა განუზრახავთ ბათუმის ქალაქის თვითმართებლობას.

✦ ფოთის ქალაქის თავს ნიკოლაძეს განუზრახავს შუამდგომლობის აღძვრა იმის შესახებ, რომ მატარებლები ტფილისიდან პირდაპირ ფოთში მიდიოდნენ და ბათუმში წამსვლელთათვის ისეთი მატარებლები იყოს, როგორც ეხლა ფოთისა და სამტრედიის შუა დადის.

✦ თედო სახოკია, როგორც გავიგეთ, ადმინისტრაციის განკარგულებით-კი არ არის დატუსაღებული, არამედ თანახმად პალატის პროკურორის განკარგულებისა. ბ-ნი სახოკია სოხუმის ციხიდან ბათუმის ციხეში გადაუყვანიათ.

✦ მარტის 17 აქეთ ხოჯამელლის ოქროულობის მაღაროების ნოქრები სატუსაღოში არიან დაპატიმრებულნი. ამ ნაირივე ბედი ეწვიათ ვოლოხის და სხვა ოქრომჭედელთა ნოქრებს. როგორც ამბობენ, მიზეზი ნოქართა დაპატიმრებისა ის არის, რომ ხოჯამელლს მოთხოვნილება წარუდგინეს და მან ეს გარემოება პოლიციას აცნობა.

# პროვინციის ცხოვრება

**სოხუმი.** ახლად დანიშნული ეპისკოპოსი დიმიტრი მოვიდა სოხუმში და პირველი სიტყვა, რომლითაც მიმართა ხალხს, ის იყო, რომ ქართული ენის უცოდინარობისათვის უსახელო წერილებით მემუქრებიან და მოკვლას მპირობენო. უსახელო წერილების წერა სოხუმში ხელობად არის გადაქცეული და საკვირველი ის არის, რომ ამ წერილებს ერთი და იგივე კაცი სწერს—და აქაურებს რომ დავუჯეროთ, სათავე ამ წერილების აქაურ „ჭეშმარიტ რუსთა" ჯგუფში იწყება. ამ წერილებით „ჭეშმარიტი რუსნი" წყალს ამღვრევენ და ხომ მოგეხსენებათ, ამგვარ წყალში თევზის დაჭერა ადვილი საქმეა.

თვით ეპისკოპოსს დიმიტრის ქართველი საზოგადოება კარგად იცნობს—იგი ის დიმიტრია, რომლის რექტორობის დროსაც ქუთაისის სემინარიაში არეულობა მოხდა და დასასრულ სემინარიაც დაიხურა.

აპრილში მოხდება აქ ქალაქის ხმოსნების არჩევა. აგიტაცია უკვე დაიწყო. სხვაზე მეტ მხნეობას იჩენენ ამ საქმეში „ჭეშმარიტი რუსნი". არაფერს ერიდებიან, რომ ხმოსნებად თავიანთი მომხრენი გაიყვანონ და, სხვათა შორის, მომხრობა უნდათ სომხებისა და ბერძნებისა, რომ შეერთებულის ძალით კისერი მოუგრიხონ ქალაქის ეხლანდელ გამგეობას. მემარცხენენიც სცდილობენ, აგიტაციას ეწევიან ვექილის ზახაროვის მეთაურობით და მათაც სურთ დღევანდელი გამგეობა გადააყენონ და თავიანთი კაცები ჩააყენონ ქალაქის საქმეთა სათავეში. ამისათვის ეხლანდელ გამგეობის მოქმედებას კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებენ ბათუმის გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკ"-ში.

ჩვენ სრულებითაც არა გვაქვს აზრად გამგეობას ქომაგობა გავუწიოთ, მაგრამ სიარ-თლიანობა მოითხოვს პარტიულ გამწვავებულ ბრძოლის დროს მოპირდაპირენი ცილის წამების გზას არ დაადგნენ და ამიტომ შემდეგ წერილებში ვეცდებით აღვნუსხოთ ეხლანდელ გამგეობის მოღვაწეობის ავი და კარგი მხარე. **დროებით სოხუმელი.**

—

**დ. ყვირილა.** სწორედ აწიოკებულია ზოგიერთი ქალბატონი. ამ ბოლო დროს ერთად-ერთი გასართობი მხოლოდ ლატარეიაა და ისიც ძალიან ხშირად „ჯიბის" სასარგებლოდ. აიღებენ უშველებელ თაბახ ქაღალდს და მოგადგებიან, გინდა თუ არა ხელი მოაწერე ლატარეიაზედაო. შენც სირცხვილით რას იზამ, აიღებ და მოაწერ ხელს... ვის სასარგებლოდ ან რა აზრით იმართება ლატარეიები, აღაჭმა უწყის. მერე კიდევ რამდენი უსიამოვნება მოსდევს ამას, ვინ მოსთვლის ან ვინ დაიხსომებს. მხოლოდ ლატარეიის გამმართავი რჩება ყოველთვის მოგებული. ამის წინააღმდეგ გაილაშქრა რამდენიმე ახალგაზრდა ქალმა და ვაჟმა, რომელთაც გადაუწყვეტიათ, „თუ კიდევ განმეორდა ამგვარად, ლატარეიების სახით, ფულების მოხოჭვა და ჯიბეში ჩაჩხრიალება, მაშინვე ლატარეიის გამმართავს გამოუცხადოთ ბოიკოტი, ვინაიდან არავითარი სარგებლობა არ მოაქვს და ტყუილად ხალხს აწუხებენო".

ამას წინად დ. ყვირილაში გამართა კერძო პროგიმნაზიის სასარგებლოდ სადამო, რომელსაც, როგორც ამბობენ, კარგი შემოსავალი ჰქონია. სადამოს ანგარიში ჯერ არსად არა ყოფილა გამოქვეყნებული.

ამას წინად ხმა დავარდა, რომ ცნობილი სტრაჟნიკი ქარქაშაძე სამსახურიდან დაითხოვესო, მაგრამ იგი დღესაც იარაღით ხელში არ იშლის ხალხის ცემასა და ცხვირსა და პირში სისხლის დენას. ამგვარი ამბავი განმეორდა 25 მარტს, როდესაც ურიცხვი ხალხი იყო ბაზარში. ქარქაშიძემ შეხედა ახლოს მდგომ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილს არაბიძეს, რომელსაც ხელები ჯიბეებში ჰქონდა, მივარდა, „აი შე ასეთო და ისეთო, ბომბი გინდა მესროლოო", შესძახა და დაუწყო ცემა ჯერ მუშტით და მერე ხანჯლით, კინაღამ მოკლა. იქვე ახლო იყო სტრ. ბიწაძე. გაშველების ნაცვლად, იმანაც უთავაზა უდანაშაულო კაცს. არაბიძემ მიმართა ბაზარში იმ დროს მყოფ აფიცერს, რომ დაეხსნა ამ მსხვერპლისაგან. საზოგადოდ აქ დიდი თვითნებობაა. ქარქაშიძემ და მისმა მოძმეებმა რომ სულ დააქციონ აქაურობა, ხმის გამცემი არავინაა ერთი სიტყვით, მაზრას ქარქაშიძე და მისი ძმანი განაგებენ და არა ბ-ნი მანსვეტოვი. **ვახუშტი.**

# რუსეთი

✦ **კაზაკების განსამართლება.** ბარონ კაულბარსის განკარგულებით ოდესის სამხედრო სასამართლოში მისცეს 27 კაზაკი, რომელთაც ჰბრალდებათ შემდეგი გასული წლის ივლისში ეკატერინოსლავის გუბ. იუზოვკაში მუშების გაფიცვა მოხდა, რის გამო იქ კაზაკები გაგზავნეს. მუშებისა და კაზაკების შორის გამართა მოლაპარაკება, რომელშიაც აფიცრები ჩაერივნენ და აუკრძალეს კაზაკებს მუშებთან ლაპარაკი, მაგრამ კაზაკებმა იმათ ბრძანებას ყურადღება არ მიაქციეს, განაგრძობდნენ მუშებთან ლაპარაკს და პირობა მისცეს, კიდევაც, რომ გვიბრძანონ, თოფს არ გესვრითო. ამის შემდეგ მუშების დასამშვიდებლად კაზაკების მაგიერ ადგილობრივი დრაგუნთა პოლკის ერთი ნაწილი მოიყვანეს, კაზაკები კი სამხედრო სამართალში მისცეს.

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 მარტი.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ საკანონმდებლო დაწესებულებაში შესატანად მოიწონა შემდეგი კანონ პროექტები: სეღრო-განათლების მინისტრისა. ამ პროექტით ყველას ნება მიეცემა, რა ენაზედაც უნდა ასწავლოს პირველ დაწყებითი წერა კითხვა და ანგარიში.

**ვარშავა.** 23 და 24 მარტს საველე-სასამართლომ სიკვდილით დასაჯა გადაუწყვიტა შვიდ კაცს. გენ.-გუბერნატორმა სიკვდილი კატორგად შეუცვალა, ორს ათათი წლით და ხუთს 8 წლით.

**ეკატერინოსლავი.** ნოვომოსკოვსკის სატუსაღოდან 5 ტუსაღი გაიქცა. ერთი ზედამხედველი მოჰკლეს, მეორე დასჭრეს.

**ბერლინი.** გაზეთებში დაბეჭდილ საღამოს დეპეშებში ნათქვამია, რომ სათათბიროს მიერ ბიუჯეტის კომისიაში გადაცემამ რუსეთის ქაღალდების ფასი ასწიაო.

**პერმი.** ღამე პოლიციამ ერთ სახლს, ქალაქის განაპირას, ალყა შემოარტყა. სახლიდან გამოვიდა ორი კაცი და სროლა ასტეხა. ორივენი მიიმალნენ. ერთს რეალისტის ფორმა ეცვა. მოჰკლეს ბოქაული ოპიმინი, მსუბუქად დასჭრეს მეორე ბოქაული და უბნის ზედამხედველი.

**ჩერნიგოვი.** კლინცაში თავის სახლში მოჰკლეს რუსთა კავშირის თავმჯდომარის ამხანაგი რიაჟკოვი.

**პარიჟი.** შეერთებულ სოციალისტურ პარტიის ნეიტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელითაც მალზე ჰკიცხავს კლემანსოს კაბინეტის მოქმედებას მოხელეთა სინდიკატის საქმეში.

რედაქტორ-გამომცემელი
**ივ. ი. მჭედლიშვილი.**


# განცხადებანი




ვისაც სურს თავისი კბილები საღათ შეინახოს, მხედველობაში უნდა ჰქონდეს, რომ ეს შეიძლება მხოლოდ იმ პირობაში, თუ ყოველ დღე მოუვლით კბილებს. ამისთვის აუცილებლად საჭიროა ანტისეპტიკური პირის გამოსავლები საშუალება. ასეთ ანტისეპტიკურ საშუალებათ ითვლება **„ოდოლი"**, რომლის შესახებ მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ საიმედოთ იფარავს კბილებს გაფუჭებისა და გახრწნისაგან. გარდა ამისა კარგს სუნსა სტოვებს პირში.—ოდოლი იყიდება აფთიაქებში და საუკეთესო საათიაქო და საპარფუმერო მაღაზიებში. ერთი ფლაკონი, რომელიც რამდენსამე თვე გეყოფათ, 1 მ 50 კ. ღირს.

(1—№ 7—1) (Метцель и Ко 253972)

## ქუთაისში კიწმარიშვილის და ამხ.

**თესლეულობის კანტორამ**

მიიღო დიდ-ძალი იონჯის, კოინდრის, სამყურის, პურის, ეკლის ხის, ბჟოლის და ყოველგვარ ბოსტნეულობის და ყვავილების თესლეულობა. პრეისკურანტები ყველას უფასოდ. (30—ფ—12)

## კბილის საექიმოს სკოლა ლ. შტრემხერის

**გადვიდა** ერევნის მოედანზე (პუშკინის ქუჩა, № 3), საკრედიტო საზოგადოების სახლში.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამოს 7-მდე. კვირაობით დილის 9 საათიდან 1-მდე. ფასი შემდეგის ნიხრით: რჩევისათვის ან კბილის ამოღებისათვის (ძირისა)—20 კაპ.; პლომბა 50 კაპეიკიდან; ხელოვნურ კბილის ჩაყენება—3 მანეთი თითო კბილის სადოსტაქრო ოპერაციებსაც აკეთებენ. (100—98)

პირველი კერძო სამკურნალო
## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1897 წ.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ღია არის დღე-ღამე.

**ექიმები:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.
**გ. მ. ჩიქოვანი:** $9\frac{1}{2}$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ფ. ი. ბაბანაზოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.
**ნ. გ. ბეკლიზიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**გ. ი. გმელიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—$1\frac{1}{2}$ ს. შინაგანი და საბავშვო.
**ა. ი. შნერზინინა:** $1\frac{1}{2}$—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.
**ვ. ი. გურგენოვი:** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.**
(150—ხალ.—55)

**მეჩექმეთა ამხანაგობამ**

## „ნდობამ"

დროებით შესწყვიტა ტყავეულობით ვაჭრობა, რადგან ვერაგმა ხელმა შეაჩერა მისი წინ მსვლელობა (გაქურდვით). სამაგიეროდ საუკეთესოდ მოაწყო **სახელოსნო განყოფილება**, სადაც მოიპოვება ადგილობრივი ნამუშავარი, როგორც ძვირფასი შევრო და ხრომის ფეხ-საცმელი (ქალისა და კაცისა), ისე შავი საქონლისა ხელ მისაწვდენ ფასიანები, აგრეთვე საზაფხულო პარუსინისა, სუფთა და მკვიდრი ნამუშავარი, რისთვისაცა სთხოვს დაზარალებული ამხანაგობა შეგნებულ საზოგადოებას, ხელი შეუწყოს როგორც შეკვეთილ (ზაკაზის) საქმით, ისე მზად შეკერილის ყიდვით, და შკოლების საიჯარო საქმით. ვალად ვრაცხთ თავს, განვაცხადოთ რომ ყოველ აღებულ საქმეს პირნათლად გაუძღვებით. ამხანაგობა გადავიდა კიროჩნი ქუჩაზედ, ბულდანოვის შენობაში, № 11-ში, აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების ცოტა ქვემოდ.

გამგე ამხანაგობისა **ს. ბერძნიშვილი.**
(20—569—23)

**ქუთაისში**
**გაიხსნა საწყობი ნამდვილი**

## ყიფიანის ღვინისა

ქაიხოსრო ოტიას ძე ყიფიანის საკუთარი ვენახებიდან. ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენია.

ქუთაისი, ვ. ჭილაძის შენობაში სობოროს პირდაპირ, „კომერციულ" სტამბის გვერდით. (15—კვ.—12)

**მაქვს** პატივი ვაცნობო ქალაქ ერევნის, განჯის და კახეთის მევენახეებს და ღვინის ვაჭრებს, რომ ქალ. ტფილისში, ხოსროევის ქარვასლაში 1 აპრილს გაიხსნება საწყობი კავკასიურ ღვინოებისა. სასტუმროების, რესტორანების და სხვა ამ გვარ სავაჭროების პატრონთა ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოების წყალობით, გაფიცვა აიხსნა და უთანხმოება, მუშების ორ პარტიის შორის ჩამოვარდნილი, თავიდან აცილებულ იქმნა და არავითარი დაბრკოლება აღარ არის მოსალოდნელი. ვთხოვ ყველას, წინანდებურად მოგვაწოდონ ღვინოები.

(2—17—2 პატივისცემით **მოიჯარადრე.**

**ქართველ** ახალგაზდა მწერალთა, მთარგმნელთა, წიგნების გამომცემელთა და მესტამბეთა საყურადღებოდ. ვკისრულობ ხელთ-ნაწერების შესწორებას, კორექტურას და გამოცემათა ხელ-მძღვანელობას; ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებში.

**ადრესი:** ტფილისი, თხინვალის ქუჩა, სახლი ტერომშელიძისა, № 12. **პირადად მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათიდან 10 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.**

(30—უ.—8) ია ეკალაძე-ცინცაძე.


სტამბა „იდეალი" (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ, № 6.